



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N09

2023 წლის 14 ივნისი

ქ. ქობულეთი

ქ.ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N291-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე

(ს/კ 20.42.01.560) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების

რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 21-ე მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს,

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქ.ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N291-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.42.01.560) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა თანახმად დანართისა.


მუხლი 2.

დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას ამ დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული პირობების ნებისმიერი ცვლილებების შესახებ შეათანხმოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ. მჭედლიშვილი



მხავანდობის ობიექტის
განაშენების ხაზგადაჭერის ბაზის
პ რ ო გ ე ტ ი

მის: ქობულაძის ქუჩის კუთხით მდებარეობის ბაზისი № 291
დაფუძვლილი: შპს "ანანასი"



შემსახურებელი: შპს "ახს-ინჟინერი"
მისამართი: ქობულაძის ქუჩის კუთხითი ქ.№16
2 0 1 9



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №15

2016 წლის 30 სექტემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის
გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა თანახმად თანდართული დანართისა.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ს.ოქროპირიძე



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №16

2016 წლის 30 სექტემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის
გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლისა და საქართველოს
ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის პირველი
პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს,

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქ.ქობულეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა თანახმად
თანდართული დანართისა.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ს.ოქროპირიძე



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N115

2018 წლის 27 ივლისი

ქობულეთი

ქ.ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N291 არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:20.42.01.560) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 21-ე მუხლის შესაბამისად:

- 1.დამტკიცდეს ქ.ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N291-ში (ს/კ 20.42.01.560) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.ბათუმის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული აქტის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ზუბალაშვილის ქუჩა N30).
- 4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დ. მკედლიშვილი

დ. მკედლიშვილი





ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N100

2018 წლის 29 ივნისი

ქობულეთი

ქობულეთში, დაღმაშენებლის გამზირი N291 არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:20.42.01.560) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების შესაბამისად:

1.დამტკიცდეს ქობულეთში, დაღმაშენებლის გამზირი N291-ში (ს/კ 20.42.01.560) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალება N1 დანართის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული აქტის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გ. მჭედლიძე
საკრებულო

დ. მჭედლიძე





**ამონაწერი მენარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17141437, 08/01/2018 19:47:20

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ალიანსი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445453526
**რეგისტრაციის ნომერი,
თარიღი:** 03/12/2014
**მარეგისტრირებელი
ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, კობალაძის ქუჩა, N 2

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: a.songulia@alliancegroup.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - 60001015840, აკაკი სონგულია

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
61006002131, ნიკოლოზ თევზაძე		15%
61001007997, მედეა ბოჭორიშვილი		43%
61006002758, იბრაიმ შალიკაძე		15%
60001015840, აკაკი სონგულია		12%
61001002755, ბესიკ ჟღენტი		15%

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკვთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

-
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;

- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018206236 - 12/03/2018 16:39:56

მომზადების თარიღი
16/03/2018 21:41:21

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი: საკუთრება
ქობულეთი	ქ. ქობულეთი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
20	42	01	560	დამუსგებელი ფართობი: 26213.00 კვ.მ.

მისამართი: ქალაქი ქობულეთი , გამზირი დ. აღმაშენებელი , N 291

ნაკვეთის წინა ნომერი: **20.42.01.542**;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018206236 , თარიღი 12/03/2018 16:39:56
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/03/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზაციისას ნასყიდობის ხელშეკრულება N16 , დამოწმების თარიღი: 12/03/2018 , სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

შპს "ალიანსი" , ID ნომერი: 445453526

მესაკუთრე:

შპს "ალიანსი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახლო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
892018206236
თარიღი 12/03/2018
16:39:56

გამყიდველი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
მყიდველი: შპს "ალიანსი" 445453526;

საგანი: დაზუსტებული ფართობი: 26213.00 კვ.მ. ;
მხარეები ვალდებული არიან შესარულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული
ვალდებულებები;

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
16/03/2018

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობებიანი
აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება N16 , დამოწმების
თარიღი: 12/03/2018 , სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო ,

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: 20.42.01.560

ნაკვეთის დანიშნულება:

არასასოფლო სამეურნეო


განცხადების ნომერი: 892017180460

ფართობი:

26213 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

მომზადების თარიღი: 08/12/2017

26201 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)



05/25 მშენებარე ნაკვეთობა	05/25 მენობა/ნაკვეთობა	ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	საზოგადოებრივი ნაკვეთობა	ვალდებულება

განაშენიანების რეგულირების გეგმა

დაპროექტების საფუძველი

განაშენიანების რეგულირების გეგმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ივლისის #115 განგაგულებით დამტკიცებულ გრგ-ში ცვლილების მოთხოვნის მიზნით მომზადდა შპს „არტ-დიზაინი+“ ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამკვეთის (შპს „ალიანსი“-ს) საპროექტო დავალების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის დადგენილება №59, მუხლი 21-ისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 30 სექტემბრის დადგენილება #16-ით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან 2018 წლის 12 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება # 16-ის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს დამკვეთის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას.

საპროექტო ტერიტორია

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის გამზირი #291-ში (ს/კ 20,42,,01,560) მდებარე მართკუთხა ფორმის მქონე მიწის ნაკვეთზე დამისი ფართი შეადგენს 26213,0 კვ.მ. წარმოდგენილი ნაკვეთი განლაგებულია სანაპირო ზოლის ერთ-ერთ უაღმაზე ადგილზე დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის სანაპიროს შორის, ყოფილი დ/ს „ჰორიზონტის“ ტერიტორიაზე, მას ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრებიდან ესაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნაკვეთები, რომლებიც შესაძლოა ვიგულისხმოთ რეკრეციულ ტერიტორიებათ, სადაც მიზანშეწოლილია მოეწყოს დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის სანაპიროს დამაკავშირებელი საპარკო იფრასტრუქტურა.

რელიეფი თითქმის უცვლელია და შედგება ქვიშა ხრეშოვანი გრუნტისაგან. სეისმური დარაიონების რუქის შესაბამისად ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

სივრცით ტერიტორიული განვითარება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ივლისის #115 განგაგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ზონისადმი დადგენილი კოეფიციენტებისა და პარამეტრების მომატება, კერძოდ:

- 1) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონკრეტული ზონირების რუქის შესაბამისად საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება სრზ-2 ზონას და წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში, სადაც დასაშვებია დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსება. მოცემული ზონის კოეფიციენტებია:

- ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) - 0,3;
- ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - 3,0-მდე
- გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) - 0,1.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ივლისის #115 განგაგულებით დამტკიცებულია დადგენილი პარამეტრების (კოეფიციენტების) გაზრდა რაც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართი 10170,0 კვ.მ - (კ-1) -0,4
- ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის ფართი 118000,0 კვ.მ - (კ-2) -4,5
- გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების ფართი 2621,0კვ.მ - (კ-3) -0,1

- 2) აგრეთვე შეთანხმდა საპროექტო ტერიტორიაზე შემობათა განთავსების სქემა (გენ-გეგმა), რაც ითვალისწინებს ტერიტორიის ორ ზონად გაყოფას (მაღალი და დაბალი ინტენსივობის ზონები), სადაც განსაზღვრული იყო პირველი ოთხი სართულის დონეზე (ყოველი სართული 8375.0 კვ.მ ფართის მქონე) საერთო სარგებლობის ნაგებობით ორი ურთიერთ დაკავშირებული 34 სართულიანი მაღლივი, ერთი 11 სართულიანი მაღლივი ასევე 26 ინდივიდუალური 2 სართულიანი კოტეჯების მშენებლობა.

წარმოდგენილ გრგ-ს დოკუმენტში მოთხოვნილია მხოლოდ საპროექტო შენობების განთავსების ცვლილება, რაც ასახულია თანდართულ მასალებში, კერძოდ განსაზღვრულია სამი მაღლივი ა-ბ და გ ბლოკების მშენებლობა, სადაც კოეფიციენტების ათვისება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

$$კ-1= 6700.0 \text{ კვ.მ} = 0,3$$

$$კ-2 = 117948,0 \text{ კვ.მ} = 4,5$$

$$კ-3 = 14310,0 \text{ კვ.მ} = 0,5$$

შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების ათვისება შემცირდა რას საშუალებას იძლევა ტერიტორიაზე უფრო მეტი ფართი დაეთმოს გამწვანებას და საფენმავლო ბილიკებს, საპროექტო შენობების სართულები განისაზღვრა შემდეგ ნაირად:

ა და ბ ბლოკები 28 სართული

გ ბლოკი 28 სართული

ხოლო რაც შეეხება ავტო პარკინგს, მეტი წილი მოეწყობა ა და ბ ბლოკების ქვეშ განლაგებულ მიწის ქვედა სართულზე.

დაგეგმვის ეფექტიანობის (ხეირიანობის) შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან 2018 წლის 12 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება # 16-ის მოთხოვნების გათვალისწინებით საპროექტო ობიექტში მოეწყობა სასტუმრო არანაკლებ 200 (ორასი) ნომერი, სპა ცენტრს, ბავშვთა გასართობი სივრცე, ღია სპორტულ მოედანი, კვების ობიექტები და ა.შ. რაც დადებითად იმოქმედებს ქობულეთის მოსახლეობის დასაქმებაზე.

საინვესტიციო თანხად განსაზღვრულია 25 000 000,0 ლარის დახარჯვა.

აღნიშნული პროექტის განხორციელება დადებითად წაადგება ქალაქ ქობულეთს და ბიუჯეტს.

გრგ-ს აღწერა

საპროექტო ტერიტორია ვითარდება როგორც ერთი მთლიანი კომპლექსისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი.

გრგ-ს კვლევის საფუძველზე დადგინდა საპროექტო ტერიტორიის წარმოდგენილი სცენარით განვითარების ხელსაყრელი პირობები.

საპროექტო ტერიტორიის გრგ-ს კვლევის ფარგლებში მოძიებული და შესწავლილი იქნა ზოგადი ინფორმაცია ბუნებრივ-კლიმატურ, ეკოლოგიურ და გეოლოგიური პირობები, რაც ასახულია თანდართულ მასალაში:

ბუნებრივ-კლიმატური პირობები

ქ. ქობულეთი წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს და იგი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ განმტობებაზე - ქობულეთის დაბლობზე. იგი გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიულ ვაკეზე; ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე. მისი კოორდინატებია - ჩრდილოეთის განედის 41°49' და აღმოსავლეთის გრძედის 41°47'.

ქ. ქობულეთი უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროზე, ის შავი ზღვისპირა ცნობილი საკურორტო ქალაქია და წარმოადგენს ქვეყნის ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკური აღმავლობის ერთერთ

უმნიშვნელოვანეს ცენტრს. ქალაქის საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 15 კმ². მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 19 000 კაცი, საკურორტო სეზონის პერიოდში მოსახლეობის რაოდენობა 2-3-ჯერ იზრდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. ქობულეთი მდებარეობს ქვეზონაში, რომელიც გამოირჩევა მაღალი ნესტიანობითა და ზღვის ქარებით მთელი წლის განმავლობაში, უხვი წვიმებით შემოდგომასა და ზამთარში; შესაბამისად ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის +14,3°C-ს; იანვარში +5,8°C, აგვისტოში +23,0°C; აბსოლუტური მინიმუმი - 16°C; აბსოლუტური მაქსიმუმი +41°C. ნალექების წლიური რაოდენობა მაღალია -2352 მმ, მაგრამ იმის გამო, რომ უფრო ხშირად მათ აქვთ ხანმოკლე ხასიათი (ე.წ. „ტროპიკული თავსხმა“) და ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურების გამო (ის ძირითადად წარმოადგენს წყალგამტარ სუბსტრატს), წვიმები ნაკლებ გავლენას ახდენს ჰაერის სინოტივის ცვალებადობაზე.

საზოგადოდ, ქობულეთისთვის დამახასიათებელია მაღალი სინოტოვე, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევს გაზაფხულზე (75%), ხოლო ზამთარში - 70%. მაგრამ, ბათუმთან შედარებით, კონტინენტის უშუალო გავლენის გამო, ქობულეთამდე აღწევს მშრალი ფენები, შედეგად, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ეცემა 40-50%-მდე.

ზღვის წყლის ტემპერატურა მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით აღემატება 15°C; ივნისში ის აღწევს 20,7°C, ივლისში - 24,1°C, აგვისტოში - 24,4°C, სექტემბერში - 22,0°C, ოქტომბერში 18,3°C.

ქობულეთი ხასიათდება მაღალი რადიაციული დასხივებით. დილის პირდაპირი რადიაციის დონე აღწევს 0,35 მ.კალ., საღამოსი - 0,60-0,80 მ. კალ. განსაკუთრებით მაღალია ულტრაიისფერი რადიაცია, რასაც ფაქტორების მთელი რიგი ადასტურებს - სწრაფი გარუჯვა, მზის სამკურნალო მოქმედება და ა.შ.

მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამი ქობულეთში შეადგენს 2 100 საათს, რითაც ის გამოირჩევა აჭარის კურორტებს შორის. დასავლეთიდან მიმდებარე გაშლილი ხმელეთი არ აბრკოლებს ადმოსავლეთის (დილის) მზის მოქმედებას ქობულეთის ტერიტორიაზე და თავისუფლად ატარებს ნოტიო ჰაერის მასებს ხმელეთის სიღრმეში და არ ახდენს მათს კონდენსაციას, როგორც ეს, მაგალითად, ბათუმში ხდება.

ქარის საშუალო სიჩქარე ქობულეთში შეადგენს 2/3 მ/წმ; დღის საათებში ეს სიჩქარე მეტია, ვიდრე ღამე; ზღვის ბრიზის გაძლიერება შეიმჩნევა შუაღამს. საერთოდ, ზღვის ბრიზის მოქმედება შეიმჩნევა თითქმის მთელი დღეღამის განმავლობაში; ამასთან, ალიონზე ხშირია შტილი, ან თითქმის შეუმჩნეველი ნიავით მატერიკის მხრიდან, რაც, აგრეთვე აწვდის ზაფხულის სიცხეს.

ქობულეთის საქალაქო პლაჟი, ძირითადად, ქვიშიან-ღორღიან კატეგორიას განეკუთვნება, პლაჟის ქვიშიანი მონაკვეთები გვხვდება სამხრეთით და ჩრდილოეთით.

ქ. ქობულეთის ფარგლებში ზღვის წყლის ზოგად მდგომარეობაზე წარმოდგენას იძლევა „საქართველოს ინტეგრირებული მართვის პროექტი“, რომელიც მსოფლიო ბანკის დახმარებით დაამუშავა სზიმ ცენტრმა. ამ ნაშრომის მონაცემების თანახმად, ქობულეთის ზონაში ზღვის წყლის მარილიანობა მეტია, ვიდრე, მაგალითად, ბათუმსა თუ ფოთში. მძიმე ლითონების კონცენტრაცია ქობულეთის მიმდებარე ზღვის აკვატორიის ფსკერზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბათუმის ზონაში; იგულისხმება სპილენძი, დარიშხანი, თუთია, ქრომი და სხვა. ზღვის წყლის ხარისხის სინჯები ქობულეთის ზონაში გვიჩვენებს, რომ აქაც წყლის მდგომარეობა ნორმის ფარგლებშია, ამასთან ერთად, ქობულეთის ზღვის აკვატორიის დაბინძურების წყაროდ რჩება ქალაქის საკანალიზაციო სისტემა და მყარი მუნიციპალური ნარჩენები. საქართველოს მეტეოროლოგიის დეპარტამენტის ცნობით, ქ. ქობულეთის მდინარეები ძირითადად ბინძურდებოდნენ (80-იან - 90-იან წლებში) მსუბუქი და კვების მრეწველობის ჩამდინარე წყლებით, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით. წლების მანძილზე ამ მდინარეების ძირითად დამაბინძურებლად ითვლებოდა: ქლორი, მაგნიუმი, სულფატები, ჰიდროკარბონატები, კალციუმი, ფენოლები, პესტიციდები, ნავთობპროდუქტები, ბიოგენური ელემენტები და სხვა. მათი შემცველობა აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზ.დ.კ.).

აჭარის რეგიონში, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების თანამედროვე ეკოქიმიური მდგომარეობა მიაწინებს იმას, რომ ისინი არ განიცდიან მკვეთრ ანთროპოგენურ დატვირთვას. ამის მიზეზი არის ის, რომ სრული დატვირთვით არ მუშაობს ძირითადი დამაბინძურებელი ობიექტები. ეპიზოდურად აღინიშნება პესტიციდების არსებობა ზღვის წყლებში, ხოლო რაც შეეხება მძიმე ლითონებს, მათი არსებობა არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. აქედან გამომდინარე, შავი ზღვის სანაპირო ზოლს არსებითად არ აბინძურებს მასში ჩამდინარე მდინარეები.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, საერთოდ, მოწმდება შემდეგი ჰარამეტრებით: მტვერი, SO₂, NO₂, SO₄, H₂S და CO. ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მიერ მოპოვებული მონაცემებიდან გამომდინარე, მოცული კომპონენტებით ჰაერი არ არის დაბინძურებული და ისინი შეესაბამება მისაღებ ფონურ მდგომარეობას.

ამრიგად, ქობულეთის რეგიონის ზემოჩამოთვლილ ეკოსისტემებში არ შეინიშნება განსაკუთრებული დაბინძურების ფაქტები, გარდა ერთეული შემთხვევისა.

ქ. ქობულეთისთვის დამახასიათებელი მეტეოპირობები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებსა და დიაგრამებზე (ქ. ქობულეთის მეტეოსადგურის მონაცემებით). (წყარო: სნწ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01. 05-08)) (იხ. ცხრილი 1)


ცხრილი 1

ქ.ქობულეთისმეტეოსადგურისმონაცემები

ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურა (°C).

თვე საშ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ. წლ.	აბს. მინ. წლ.	აბს. მაქს. წლ.
ქობულეთი	4.8	5.5	7.6	10.9	15.4	19.5	22.4	22.6	19.5	15.4	10.7	6.7	13.4	-16	41


(°C).



ფარდობითი ტენიანობა (%).

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
ქობულეთი	80	80	79	80	82	80	80	82	84	84	82	80	81

%



სადგური	საშუალო ფარდობითი ტენიანობა 13 საათზე		ფარდობითი ტენიანობის საშ. დღე-ღამური ამპლიტუდა	
	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
ქობულეთი	69	71	16	21

ნალექების რაოდენობა


სადგური	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი, მმ
ქობულეთი	2352	240

ქარის მახასიათებლები

სადგური	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20. წელიწადში ერთხელ. მ/წმ				
	1	5	10	15	20
ქობულეთი	18	22	24	25	26


სადგური	ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ	
	იანვარი	ივლისი
ქობულეთი	4,4/1,5	5,1/1,7

სადგური	ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
ქობულეთი	2	23	13	8	7	30	11	6	20



აქვე მოყვანილია საქართველოს ტემპერატურული დახასიათების და საკურორტო-კლიმატური დარაიონება, დასავლეთსაქართველოს კლიმატური დარაიონების, მზის ინსოლიაციის, ნალექების განაწილების და ქარის საშუალო სიჩქარეების სქემები. (იხ სქემა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.)

სქემა 1 დასავლეთ საქართველოს ტემპერატურული დახასიათების სქემა



სქემა 2 საქართველოს საკურორტო-კლიმატური დარაიონება




სქემა3 დასავლეთ საქართველოს ტემპერატურული დახასი




სქემა 4 დასავლეთ საქართველოს კლიმატური დარაიონება



სქემა 5 შზის ინსოლიაცია დასავლეთ საქართველოში



სქემა 6 ნალექების განაწილება



სქემა 7 ქარის საშუალო სიჩქარეები დასავლეთ საქართველოში



ნიადაგები და ლანდშაფტები

ქობულეთის ზღვისპირა ვაკეზე წარბობს ჰიდრომორფული და ალუვიური წარმოშობის ნიადაგები. ქალაქის აღმოსავლეთით, სახელმწიფო ნაკრძალისა და ალკვეთილის ტერიტორიებზე ძირითადად წარმოდგენილია ჭაობის ტორფიანი და ლამიან-ჭაობური ნიადაგები. ზღვისპირა ქვიშიან-კენჭოვანი ზვინულების ზოლში, ზედაპირული წყლების უკეთესი დრენაჟის პირობებში მიმდინარეობს ალუვიურ-ქვიშიანი, თიხიან-ქვიშიანი და ნაწილობრივ მდელოს გაეწერებული კორდიანი ნიადაგების განვითარების პროცესი. ქალაქის მიმდებარე გორაკ-ბორცვიან ზოლში წარბობს წითელმიწა ნიადაგები.

ქ. ქობულეთის მთავარი ოროგრაფიული ერთეულია შავიზღვისპირა ვაკე დაბლობი. ზღვის სანაპირო დაბლობი მოიცავს კოლხეთის დაბლობის გაგრძელებას, უშუალოდ ქობულეთის დაბლობს, კანაბრის

დაბლობის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიებს. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე განვითარებულია შემდეგი სახის ბუნებრივი და ანტროპოგენური ლანდშაფტის კომპონენტები:

- o სანაპირო ქვიშიან-ხრეშიანი დიუნური ზოლი ფსამოფილური მცენარეულობით;
- o ბალახოვან-სფაგნუმიანი ჭაობი;
- o სხვადასხვა ხარისხით დეგრადირებული ტორფიანი ჭაობი ნიადაგურ-მცენარეული საფარით;
- o დაჭაობებული ვაკე-დაბლობი უმთავრესად მურყნარებითა და ლამიან ჭაობიანი ნიადაგებით;
- o ძლიერ დეგრადირებული ტენიანი მურყნარები;
- o ხელოვნური ტყის ლანდშაფტი;
- o მეორადი მდელოები და მდელო-ბუჩქნარები;
- o სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები;
- o ანტროპოგენურ-აქვალური ტერიტორიები.

ქ. ქობულეთის ტერიტორიების უსისტემო ათვისებამ გამოიწვია მრავალსპექტრიანი ბუნებრივი ლანდშაფტის ძლიერი ანტროპოგენიზაცია, ხოლო გეოლოგიურ გარემოში დაიწყო შეუქცევადი რღვევა, ცვლილებები და სტიქიური პროცესების დიდი სიძლიერით წარმოქმნა-აქტივიზაცია.

ჰიდროლოგია

ქ. ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიებზე გაედინება მდინარეები: ოჩხამური, ჩოლოკი, შავი დელე, ტოგონი, აჭყვა, კინტრიში და კინკიშა. აღნიშნული მდინარეებიდან ორი - ტოგონი და შავი დელე გაედინება ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის და ადკვეთილის ტერიტორიაზე. მიკრორაიონის ჰიდროლოგიური დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე არსებული ჭაობები და რამდენიმე წყალსაწრეტი არხი.

ჰიდროლოგიური კუთხით უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს შავი ზღვა, რომელიც მთელს სიგრძეზე გასდევს ქალაქს. ვინაიდან ტურისტული კუთხით მთავარ მიზნიდევლობას ქობულეთს სწორედ ზღვა სძენს, მნიშვნელოვანია მისი დაბინძურების დონის შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

შავი ზღვის დაბინძურების პრობლემატიკის გადასაჭრელად, 2011 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ივნისამდე, რუმინეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე, მიმდინარეობდა ერთობლივი კვლევები სამი ქვეყნის (საქართველო, გერმანია, საბერძნეთი) მეცნიერთა მონაწილეობით.

სხვადასხვა წყლის ეკოლოგიური „ტრასერების“ გამოყენებით მოხდა მიწისქვეშა წყლის განტვირთვის ზონის ლოკალიზაცია და რაოდენობის განსაზღვრა. ეკოლოგიური „ტრასერები“ (ისეთები როგორცაა სტაბილური და რადიოაქტიური იზოტოპები) წარმოადგენენ ნივთიერებებს, რომლებიც არსებობენ ბუნებაში და წარმოიშვებიან განსაზღვრული წყაროებიდან. ხელოვნური „ტრასერებისაგან“ განსხვავებით ისინი არ აბინძურებენ გარემოს. ასევე, მიღებული შედეგების დადასტურების მიზნით, გამოყენებული იქნა თანამგზავრული მონაცემები. კერძოდ, გერმანელმა კოლეგებმა შეისწავლეს აჭარის ტერიტორიისთვის სატელიტური მონაცემები და გააანალიზეს დედამიწისა და ზღვის ზედაპირის თერმული ფონის მასალა. საქართველოში მსგავსი საზღვაო და სახმელეთო კვლევათა კომპლექსი ეკოლოგიური „ტრასერების“ გამოყენებით პირველად განხორციელდა.

კვლევებისთვის შერჩეული იქნა აჭარის სანაპირო ზოლები. მეცნიერების განმარტებით, აჭარის საკვლევ რეგიონი წარმოადგენს ზედაპირული წყლების ინტენსიური განტვირთვის ზონას, სადაც თავს იყრის როგორც ამ რეგიონის, ისე მის ფარგლებს გარეთ მდებარე მსხვილი სამრეწველო ობიექტების, ქალაქების საყოფაცხოვრებო ტოქსიკური და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით დაბინძურებული წყლები. ამ ტერიტორიის ფარგლებში განლაგებულია საქართველოს მსხვილი სამრეწველო-საპორტო ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქობულეთი, მრავალი სოფელი და დასახლებული პუნქტი, რომლებიც თავისი საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენებით აბინძურებენ შავ ზღვას.


კვლევების შედეგად დადგინდა მიწისქვეშა წყლის ნაკადის მოძრაობის და ზღვაში განტვირთვის (ზღვაში გაჟონვის) უბანი. პირველი, პირობითად, ქობულეთის ცენტრთან და მეორე სოფ. ჩაქვის მახლობლად. დადგინდა დაბინძურების ზედაპირული ხასიათი. ათროფიკაციის (ტოქსინებით - ნიტრატებით და ფოსფატებით დაბინძურება) ინტენსივობის დასადგენად, განისაზღვრა ნიტრატების და ფოსფატების შემცველობები საკვლევ ტერიტორიის მიწისქვეშა წყლებსა და ზღვაში. კვლევის შედეგები

დამაიმედებელია - საბუნებრივად, ტოქსინები მიწისქვეშა წყლებში დასაშვებ ნორმაზე ნაკლები აღმოჩნდა - მაგალითად, მდინარე კინტრიში და ჩაქვის წყალში. ეს მაჩვენებლები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს, თუ ისევ მოხდა სასოფლო სამეურნეო სავარგულების გამდიდრება შხამქიმიკატებით.

2012 წლის მაისსა და დეკემბერში იყო ორგანიზებული ზღვის 2 ექსპედიცია. სინჯები აღებული იქნა 5 სადგურიდან, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ქ. ქობულეთი.

სქემაზე მოცემულია ხუთივე სადგურის მონაცემები. კონცენტრაციები PO_4 , NO_2 , NO_3 , NH_4 ($\mu mol/l$) (იხ. სქემა 8)

სქემა 8 მიწისქვეშა წყლების დაბინძურების მაჩვენებლები



კვლევებმა აჩვენა, რომ ნიტრატის კონცენტრაცია მერყეობს - $0.08-4.93 \mu mol/l$; ნიტრიტის კონცენტრაცია - $0.45-0.63 \mu mol/l$; ამონიუმის კონცენტრაცია - $0.00-1.56 \mu mol/l$; ფოსფატის- $0.42 - 0.56 \mu mol/l$; სილიკატის კონცენტრაცია- $1.73 - 63.71 \mu mol/l$. ჟანგბადის კონცენტრაცია იყო მაღალი ყველგან და მერყეობს $297.18 - 346.25 \mu mol/l$. pH-ის მნიშვნელობა მერყეობს $8.3-8.8$ და წყლის მარილიანობა- $8.05\% - 17.72 \%$. უნდა ითქვას, რომ ყველა შემოწმებული პარამეტრი არის დასაშვები კონცენტრაციის მაქსიმუმის დაბლა.

ქ. ქობულეთის ფარგლებში ზღვის წყლის ზოგად მდგომარეობაზე წარმოდგენას იძლევა ასევე „საქართველოს ინტეგრირებული მართვის პროექტი“, რომელიც მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით დაამუშავა სპიმი ცენტრმა. ამ ნაშრომის მონაცემების თანახმად, ქობულეთის ზონაში ზღვის წყლის მარილიანობა მეტია, ვიდრე, მაგალითად, ბათუმსა თუ ფოთში. მძიმე ლითონების კონცენტრაცია ქობულეთის მიმდებარე ზღვის აკვატორიის ფსკერზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბათუმის ზონაში; იგულისხმება სპილენძი, დარიშხანი, თუთია, ქრომი და სხვა. ზღვის წყლის ხარისხის სინჯები ქობულეთის ზონაში გვიჩვენებს, რომ აქაც წყლის მდგომარეობა ნორმის ფარგლებშია.

ზოგადად საქართველოში, ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროებია წყალმომარაგება - კანალიზაციის სექტორი, თბოენერგეტიკა და მრეწველობა. სექტორების მიხედვით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების ჩამვება ასე ნაწილდება: წყალმომარაგება-კანალიზაციის სექტორი - 344.1 მლნ.მ³/წელ. (67%); თბოენერგეტიკა - 163.8 მლნ.მ³/წელ. (31%); მრეწველობა - 9.6 მლნ.მ³/წელ. (2%)

ქობულეთის ზღვის აკვატორიის დაბინძურების ძირითად წყაროდ რჩება ქალაქის საკანალიზაციო სისტემა და მყარი მუნიციპალური ნარჩენები.

ამრიგად, დღევანდელი მონაცემებით, აჭარის რეგიონში, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების თანამედროვე ეკოქიმიური მდგომარეობა მიაჩნდება იმას, რომ ისინი არ განიცდიან მკვეთრ ანთროპოგენურ დატვირთვას. ამის მიზეზი არის ის, რომ სრული დატვირთვით არ მუშაობს ძირითადი დამაბინძურებელი ობიექტები. ეპიზოდურად აღინიშნება პესტიციდების არსებობა ზღვის წყლებში, ხოლო რაც შეეხება მძიმე ლითონებს, მათი არსებობა არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. აქედან გამომდინარე, შავი ზღვის სანაპირო ზოლს არსებითად არ აბინძურებს მასში ჩამდინარე მდინარეები.

გეოლოგიური პირობები

ქ. ქობულეთის ტერიტორია მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დასავლეთის დაძირვის ოლქს. ტერიტორია ძირითადად აგებულია თანამედროვე (Q4) - ახალშავზღვიური, ძველშავზღვიური (ჰოლოცენი) და ზედა მეოთხეული Q3 – ახალ ვექსინური პლიაჟური და დელტური ფხვიერი მეოთხეული დანალექებით. აღნიშნულ რეგიონში ნალექების დაგროვება დაკავშირებული იყო ტრანსგრესიებსა და რეგრესიებზე. დაახლოებით 30 მ-დან 100 მ-დე ნალექების დაგროვება უკავშირდება ახალვექსინურ რეგრესიას, ხოლო უფრო ახალგაზრდა (15მ-დან-30მ-დე) ნალექების დაგროვება დაკავშირებულია პონტურ და კოლხურ რეგრესიებთან, რაც შეეხება სულ ზედა ფენას 15.0 მ სიღრმემდე ნალექების დაგროვება დაკავშირებულია ლაზურ ტრანსგრესიასთან.

ქობულეთის ვაკე-დაბლობი სამხრეთიდან ისაზღვრება ციხისძირის ვულკანოგენური ქანებით აგებული ჭიუხით, ხოლო ჩრდილოეთიდან მდ. ნატანებით და წარმოადგენს უახლოეს ეპოქაში გადუნულ ბლოკს, რომელიც ამჟამად განიცდის დაძირვას 2 მმ-მდე წელიწადში. თავის მხრივ კოლხეთის დაბლობის არეალში მორფოლოგიურად გამოიყოფა ლაგუნა-ჭაობის ზონა, ვიწრო შეღვი და ძველი სანაპირო ზვინული, რომელიც წარმოადგენს ფანაგორიის (ეგრისული ფაზა) რეგრესიის რელიქტს და გრძელდება ნაპირის გასწვრივ 10კმ-ზე.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული ტერიტორია განთავსებულია კოლხეთის დაბლობის დასავლეთ დაბოლოებაზე, აკუმულატიურ ზღვისპირა დაბლობებზე, ზედაპირი სწორია, თითქმის ბრტყელი, ზღვისკენ ოდნავ დახრილი.

სეისმური დარაიონების რუქის შესაბამისად ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

ნაპირდაცვა

საპროექტო ობიექტის და მთლიანად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთში ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ და ფართო მამტაბიანმა ტექნოგენურმა დატვირთვამ უარყოფითი გავლენა იქონია ზღვის სანაპირო ზონაში მიმდინარე მორფოდინამიკურ პროცესებზე, რომელიც ნაპირების წარეცხვაში და მასზე აშენებული ობიექტების ნგრევაში გამოიხატა. ტექნოგენური და ანთროპოგენური დატვირთვა ყველაზე მეტად შეეხო ზღვის სანაპირო ზონის ყველაზე აქტიურ ზოლს - პლაჟს. პლაჟი ბუნებრივი ნაპირდამცავი მექანიზმია, რომელიც იცავს სანაპიროზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს ნგრევისა და წარეცხვისაგან.

წყალმომარაგება

საპროექტო ტერიტორიის წყალმომარაგება შესაძლებელია დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული ცენტრალური წყალმომარაგების მილიდან (დიამეტრი 355 მმ) რომელსაც გააჩნია საკმარისი დეპეტი. (სათანადო სქემები ნაჩვენებია თან დართულ მასალაში.ფურცელი გრგ-12)

კანალიზაცია

საპროექტო ტერიტორიის საკანალიზაციო სისტემის დაერთება შესაძლებელია დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის მილზე (დიამეტრი 300 მმ) . (სათანადო სქემები ნაჩვენებია თან დართულ მასალაში.ფურცელი გრგ-13)

გაზმომარაგება

საპროექტო ტერიტორიის გაზმომარაგება შესაძლებელია შოთა რუსთაველის ქუჩაზე არსებული დაბალი წნევის გაზმომარაგების ქსელიდან (დიამეტრი 100 მმ). საპროექტო ტერიტორიიდან გაზმომარაგების ქსელამდე მანძილი შეადგენს სავარაუდოდ 500 მეტრს. (სათანადო სქემები ნაჩვენებია თან დართულ მასალაში.ფურცელი გრგ-15)

ელ. მომარაგება

საპროექტო ობიექტის ელ. მომარაგება განხორციელდება შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით გამანაწილებელი ქვესადგურიდან და საპროექტო ტერიტორიიდან გამანაწილებელი ქვესადგურმდე მანძილი შეადგენს სავარაუდოდ 1600 მეტრს. (სათანადო სქემები ნაჩვენებია თან დართულ მასალაში.ფურცელი გრგ-14)

სანიაღვრე

საპროექტო ტერიტორიის სანიაღვრე სისტემის დაერთება შესაძლებელია დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ სანიაღვრე მილზე (დიამეტრი 300 მმ) .(სათანადო სქემები ნაჩვენებია თან დართულ მასალაში.ფურცელი გრგ-16)

სუსტი დენები

საპროექტო ტერიტორიის სუსტი დენების დაერთება შესაძლებელია დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული რომელიმე ქსელზე

არქეოლოგია და ძეგლთა დაცვა

საპროექტო ტერიტორიის არეალში არ არსებობს საფუძველი შესაბამისი კვლევების ჩატარებისათვის.

გრგ-ს განხორციელების ეტაპები

გრგ-ს მიხედვით საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოთ განვითარება მოხდება ორ ეტაპად: მოხდება სამშენებლო მოედნის მომზადება ზონების მიხედვით და შემდგომ მშენებლობა.

შესაბამისად სამშენებლო ეტაპები მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან 2018 წლის 12 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება # 16-ის საფუძველზე დადგენილ ვადებს-დამტკიცებული გრგ-ს ვადის გასვლამდე.


